ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 61
13/12/2019

61-04-4-201912131315

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,
ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე უძრავი ქონების
(ს/კ 21.03.34.441) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №21.03.34.441).

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2019 წლის 9 დეკემბრის №5/71885 წერილით ითხოვს ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით სახელმწიფოსთვის გადაცემას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9ᵃ-ში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №21.03.34.441).
2. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რომან დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი